

კლოქსამაქსი

Amoxicilline, Cloxaciline

წამლის ფორმა:

ზეთოვანი სუსპენზია

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალებების კომბინაცია, ინტრაცისტერნარული გამოყენებისათვის.

ATC vet.code: QJ51RC26

სამიზნე ცხოველები: მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი

შემადგენლობა

1 მლ შეიცავს:

- ამოქსიცილინის ტრიჰიდრატს – 25 მგ
- კლოქსაცილინის ნატრიუმს – 25 მგ

დამხმარე ნივთიერებები: ვაზელინი, მზესუმზირის ზეთი

აღწერა

თეთრი ან მოყვითალო ფერის ზეთოვანი სუსპენზია, დამახასიათებელი სუნით. დაყოვნებისას შესაძლებელია ფენებად დაყოფა.

გამოშვების ფორმა: **10 მლ ერთდოზიანი პოლიეთილენის შპრიცი**

ფარმაკოლოგიური თვისებები

კლოქსამაქსი ანტიბაქტერიული პრეპარატია, რომელიც გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მწვავე და ქრონიკული მასტიტების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებით, ბაქტერიული ჩხირებით, კორინობაქტერიებით და ფსევდომონადებით (ტუბერკულოზის აღმძვრელის გარდა).

პრეპარატის ანტიბაქტერიული მოქმედება განპირობებულია ორი სხვადასხვა ჯგუფის ანტიბიოტიკის კომბინაციით:

ამოქსიცილინი — ნახევრად სინთეზური ანტიბიოტიკი, აქტიურია პენიცილინისადმი მგრძობიარე გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ (**Haemophilus, Klebsiella, Pseudomonas, Pasteurella, Salmonella**, პენიცილინისადმი მდგრადი **Staphylococcus** და **Streptococcus**). თრგუნავს ბაქტერიის უჯრედული კედლის სინთეზს.

კლოქსაცილინი — ფართო სპექტრის ბაქტერიციდული მოქმედების მქონე ანტიბიოტიკი, აქტიურია გრამდადებითი ბაქტერიების მიმართ, რომლებიც ხშირად იზოლირდება სარძევე ჯირკვლიდან მშრალობის პერიოდში, მათ შორის **Streptococcus agalactiae**, სტაფილოკოკები (მათ შორის პენიცილინისადმი მდგრადი შტამები) და კორინობაქტერიები.

პრეპარატის გახანგრძლივებული მოქმედება განპირობებულია კლოქსაცილინის ნაკლებად ხსნადი მარილის გამოყენებით.

ფარმაკოკინეტიკა

ინტრაცისტერნალური შეყვანის შემდეგ აქტიური ნივთიერებები სწრაფად ნაწილდება მთელ სარძევე ჯირკვალში, არ აბსორბირდება სისტემურ სისხლში, არ განიცდის ბიოტრანსფორმაციას და პრაქტიკულად უცვლელი სახით გამოიყოფა რძესთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მწვავე და ქრონიკული მასტიტების სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზირება

გამოყენებამდე კარგად შეანჯღრიეთ.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი:

ინტრაცისტერნალურად — 10 მლ ცურის თითოეულ დაავადებულ მეოთხედში, 12–24 საათში ერთხელ.

წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი:

ინტრაცისტერნალურად — 5 მლ ცურის თითოეულ დაავადებულ მეოთხედში, 12–24 საათში ერთხელ.

მშრალობის პერიოდში:

10 მლ შეიყვანება ინტრაცისტერნალურად თითოეულ დაავადებულ მეოთხედში ბოლო მოწველიდან 10–14 დღის შემდეგ.

პრეპარატის შეყვანამდე დაზიანებული მეოთხედი უნდა გათავისუფლდეს შიგთავსისგან (რძე უნდა განადგურდეს), დვრილი დამუშავდეს სადეზინფექციო საშუალებით. კათეტერი ფრთხილად შეიყვანეთ დვრილის არხში და შეიყვანეთ პრეპარატი. ამოღების შემდეგ დვრილის სადინარი მოუჭირეთ 1–2 წუთით და ჩაატარეთ მსუბუქი მასაჟი.

უკუჩვენებები

რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები

რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას არ აღინიშნება.

ლოდინის პერიოდი

რძის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 2 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 10–20°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 2 წელი

ვეტერინარიაში გამოსაყენებელი საშუალება

მწარმოებელი: შპს „Biotecs“, საქართველო, თბილისი, იუმანშევის ქ. #8